აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 26

5 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების „ქართული დასი“-ს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

კომისიის წევრმა თამაზ შარმანაშვილმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგში უნდა შეტანილიყო ცვლილება, რადგანაც №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი არჩევნების შედეგები. აუცილებელია მოხდეს განმეორებითი პროპორციული და ხელახალი მაჟორიტარული კენჭისყრის თარიღების განსაზღვრა და განმეორებითი პროპორციული და ხელახალი მაჟორიტარული კენჭისყრის თარიღების განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქსა და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი

საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შენიშვნის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
განმეორებითი კენჭისყრის დანიშნვის შესახებ.

(მომხ: ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების დანიშნვის შესახებ.

(მომხ: ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე.

(მომხ: თ. შარმანაშვილი)

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში შემქნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე.

(მომხ: თ. შარმანაშვილი)

1. განკარგულება
განმეორებითი კენჭისყრის დანიშნვის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო განმეორებითი კენჭისყრის დანიშნვის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, განმეორებითი კენჭისყრა იმართება არჩევნებიდან 2 კვირის ვადაში. გარდა ამისა, ამ დროისათვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსულია №82 შუახევის საარჩევნო ოლქის განკარგულებები (შვიდი) საარჩევნო უბნის არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ და აღნიშნა, რომ განმეორებითი კენჭისყრა უნდა გაიმართოს როგორც ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში, ასევე შუახევის საარჩევნო ოლქის იმ უბანებზე, სადაც გაუქმდა უბნის არჩევნების შედეგები. სხდომის თავმჯდომარემ №83 ხელვაჩაურის ოლქსა და №82 შუახევის საარჩევნო ოლქში განმეორებითი კენჭისყრის თარიღად შესთავაზა 2008 წლის 16 ნოემბერი იქიდან გამომდინარე, რომ 16 ნოემბერი არის კვირა დღე და არ ექნება ამომრჩეველს დაბრკოლება დროსთან დაკავშირებით, რათა განმეორებით კენჭისყრაში მიიღოს მონაწილება. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისის წევრმა თამაზ შარმანაშვილმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ არის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსული №82 შუახევის და სხვა საარჩევნო ოლქების შემაჯამებელი ოქმები, ამიტომ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი დაემატება თუ არა გაუქმებული უბნების რაოდენობა და კომისიას შესთავაზა განკარგულებაში შეეტანათ ცვლილება იმასთან დაკავშირებით, რომ განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდეს იმ უბნებშიც, სადაც აღნიშნული განკარგულების მიღების შემდეგ ბათილად იქნება ცნობილი არჩევნების შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის შენიშნვის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 63-ე მუხლის მე-13, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 ნოემბრის №90 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში შემავალ ყველა საარჩევნო უბანში და №82 შუახევის საარჩევნო ოლქის №6, №7, №12, №13, №17, №43, №48 საარჩევნო უბნებში დაინიშნოს განმეორებითი (პროპორციული) კენჭისყრა 2008 წლის 16 ნოემბერს.

2. იმ საარჩევნო უბნებში, რომლებიც ბათილად იქნება ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პროპორციული შედეგები, განმეორებითი (პროპორციული) კენჭისყრა იმართება ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების დანიშვის შესახებ;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების დანიშვის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, ხელახალი არჩევნები იმართება ოლქში არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან ან ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობიდან 2 თვის ვადაში და არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს უსკო არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან ან ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 7 დღისა. სხდომის

თავმჯდომარემ ხელახალი კენჭისყრის თარიღად კომისიას შესთავაზა 2008 წლის 14 დეკემბერი. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა დავით რობაქიძემ, თამაზ შარმანაშვილმა, ავთანდილ ჩახვაძემ და მამუკა ჯაშმა.

კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ დეკემბრის თვე მთლიანად დატვირთულია, რადგან ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა გასულია ქვეყნის საზღვებს გარეთ, არის რთველი და ამომრჩეველი დაკავებულია თავისი საქმიანობით. გარდა ამისა სუბიექტს, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს №83 ხელვაჩაურის ოლქის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, არ აქვს საკმარისი დრო წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის, ამიტომაც კომისიას შესთავაზა ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები 2008 წლის 3 იანვრისათვის დანიშნულიყო.

კომისიის წევრმა ავთანდილ ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ძალზედ დაბალი იქნება ამომრჩეველთა აქტიურობა №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან ოლქში, რადგან ერთი თვის განმავლობაში ამომრჩეველს ორჯერ უწევს არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

კომისიის წევრმა მამუკა ჯაშმა აღნიშნა, რომ ეთანხმება კომისიის წევრის დავით რობაქიძის მოსაზრებას და ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების 2008 წლის 3 იანვრისთვის ჩატარებას უჭერს მხარს.

კომისიის წევრმა თამაზ შარმანაშვილმა აღნიშნა, რომ არჩევნების თარიღის 2008 წლის 14 დეკემბრისათვის დანიშვნა თავსდება საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კომისიის წევრის დავით რობაქიძის მოსაზრება ამ დროისათვის (2008 წლის 14 დეკემბერი) რთველია და ამომრჩეველი დაკავებულია თავისი საქმიანობით, მისი აზრით არ არის სწორი, რადგანაც ამომრჩეველი, რომელსაც სურს არჩევნებში მონაწილეობის მიღება და თავისი ხმის დაცვა, ის მაინც მივა არჩევნებში, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნება დანიშნული არჩევნები.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 6;
(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 64-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 ნოემბრის №90 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში დაინიშნოს ხელახალი მაჟორიტარული არჩევნები 2008 წლის 14 დეკემბერს.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის ხელახალი კენჭისყრისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, ხელახალი კენჭისყრისათვის შეიქმნება საარჩევნო უბნები, აგრეთვე შესაძლებელია შეიქმნას გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები და აუცილებელია განისაზღვროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესი, ვადები და პირობები. ასევე

აღნიშნა, რომ წესები და პირობები კონკურსთან დაკავშირებით იქნება იგივე, რაც დადგენილი იქნა 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის, გარდა ვადებისა მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე დროის სიმცირის გამო. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილიო განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში შექმნილ საარჩევნო უბნები კომპლექტდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისაგან.

მუხლი 2.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის შექმნილ და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიზნით, არაუგვიანეს 2008 წლის 7 ნოემბრისა საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა იწყება არაუადრეს 2008 წლის 7 ნოემბერისა. 2008 წლის 8 ნოემბერს მთავრდება კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა საოლქო საარჩევნო კომისიაში. კანდიდატმა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო

საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) კანდიდატის სახელი, გვარი;

ბ) განათლება;

გ) სპეციალობა;

დ) სამუშაო ადგილი და თანამდებობა;

ე) საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება, სადაც მას სურს წევრობა;

ვ) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად);

ზ) საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს);

2. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი და მას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

ბ) განმცხადებლის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

3. განმცხადებელი საკონკურსო დოკუმენტაციას საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენს პირადად.

4. თუ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს, საოლქო საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ (დოკუმენტაციის მიღებისას) აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) განმცხადებელს. შესწორებული საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიას 1 დღეში უნდა დაუბრუნდეს, თუ ხარვეზი დადგინდა რეგისტრაციის ვადის ბოლო დღეს, შესწორებული საბუთები კომისიას უბრუნდება იმავე დღეს. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას კომისია არ განიხილავს.

5. კანდიდატს უფლება აქვს, საკონკურსო დოკუმენტაცია შეიტანოს მხოლოდ ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე.

6. კანდიდატს, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადის განმავლობაში უფლება აქვს გამოითხოვოს საკონკურსო დოკუმენტაცია ან შეცვალოს საკონკურსო ადგილი (საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება) შესაბამისი განცხადებით.

მუხლი 3.

1. საოლქო საარჩევნო კომისია არაუგვიანეს 2008 წლის 9 ნოემბერისა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე, მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 4.

თუ 2008 წლის 11 ნოემბრისათვის გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იმავე დღეს 2008 წლის 11 ნოემბერს აცხადებს საოლქო საარჩენო კომისია, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება მთავრდება 12 ნოემბერს. საოლქო საარჩევნო კომისია კანდიდატთა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევას ახდენს 2008 წლის 13 ნოემბერს.

მუხლი 5. როგორც ძირითადი ისე ხელახალი კონკურსის შედეგად არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ასევე გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებაში უნდა მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 37-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

მუხლი 6. ამ განკარგულების პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული პირობები ვრცელდება იმ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევაზე სადაც იმართება განმეორებითი კენჭისყრა.

მუხლი 7. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 8. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში შემქნილი საუბნო საარჩევნო

კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში შემქნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებიც შესარჩევი კონკურსის წესით დაინიშნებიან 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნებისათვის, ისინივე ჩაატარებენ 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებით არჩევნებს. კონკურსის წესის, ვადებისა და პირობების გამოცხადება იგივე რჩება, რაც 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიის განკარგულებით დადგენილი. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილიო განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო

კომისიების დაკომპლექტების მიზნით, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 38-ე დღისათვის (2008 წლის 6 ნოემბერი) საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა იწყება არაუადრეს 38-ე დღისა (2008 წლის 6 ნოემბერი). არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 36-ე დღისათვის (2008 წლის 8 ნოემბერი) მთავრდება კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა საოლქო საარჩევნო კომისიაში. კანდიდატმა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) კანდიდატის სახელი, გვარი;

ბ) განათლება;

გ) სპეციალობა;

დ) სამუშაო ადგილი და თანამდებობა;

ე) საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება, სადაც მას სურს წევრობა;

ვ) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად);

ზ) საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს);

2. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი და მას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

ბ) განმცხადებლის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

3. განმცხადებელი საკონკურსო დოკუმენტაციას საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენს პირადად.

4. თუ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს, საოლქო საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ (დოკუმენტაციის მიღებისას) აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) განმცხადებელს. შესწორებული საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიას 1 დღეში უნდა დაუბრუნდეს, თუ ხარვეზი დადგინდა რეგისტრაციის ვადის ბოლო დღეს, შესწორებული საბუთები კომისიას უბრუნდება იმავე დღეს. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას კომისია არ განიხილავს.

5. კანდიდატს უფლება აქვს, საკონკურსო დოკუმენტაცია შეიტანოს მხოლოდ ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე.

6. კანდიდატს, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადის განმავლობაში უფლება აქვს გამოითხოვოს საკონკურსო დოკუმენტაცია ან შეცვალოს საკონკურსო ადგილი (საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება) შესაბამისი განცხადებით.

მუხლი 2.

1. საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 35-ე (2008 წლის 9 ნოემბერი) დღისა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში

მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე, მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 3.

თუ არჩევნების დღემდე 30-ე დღისათვის (2008 წლის 14 ნოემბერი) საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იმავე დღეს 2008 წლის 14 ნოემბერს აცხადებს საოლქო საარჩენო კომისია, 3 დღის ვადაში ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. საოლქო საარჩევნო კომისია კანდიდატთა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევას ახდენს არა უგვიანეს 27-ე დღისა (2008 წლის 17 ნოემბერი)

მუხლი 4.

ხელახალ კონკურსში მონაწილეობისათვის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 29-ე დღის (2008 წლის 15 ნოემბრის) ჩათვლით უნდა წარედგინოს აღნიშნული განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაცია.

მუხლი 5.

1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 27-ე დღის (2008 წლის 17 ნოემბრის) ჩათვლით, საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 6.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბერის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიზნით, არჩევნების დღემდე მე-14 დღისათვის (2008 წლის 30 ნოემბერი) საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს. არჩევნების დღემდე მე-11 დღისათვის (2008 წლის 3 დეკემბერი) მთავრდება კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა საოლქო საარჩევნო კომისიაში. კანდიდატმა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამ განკარგულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რეკვიზიტები.

2. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი და მას უნდა დაერთოს ამ განკარგულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის წესი და პირობები განისაზღვრება ამ განკარგულების 1-ლი მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7.

1. საოლქო საარჩევნო კომისია გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო კომისიებთან დაკავშირებით არჩევნებამდე არაუადრეს მე-10 (2008 წლის 4 დეკემბერი) და არა უგვიანეს მე-9 (2008 წლის 5 დეკემბერი) დღისა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 8.

თუ არჩევნების დღემდე მე-8 დღისათვის (2008 წლის 6 დეკემბერი) გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იმავე დღეს 2008 წლის 6 დეკემბერს აცხადებს საოლქო საარჩენო კომისია, 3 დღის ვადაში ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. საოლქო საარჩევნო კომისია კანდიდატთა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევას ახდენს არა უგვიანეს მე-5 დღისა (2008 წლის 9 დეკემბერი)

მუხლი 9.

ხელახალ კონკურსში მონაწილეობისათვის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე მე-6 დღის (2008 წლის 8 დეკემბერი) ჩათვლით უნდა წარედგინოს აღნიშნული განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაცია.

მუხლი 10.

1. გამონაკლის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არაუადრეს მე-6 (2008 წლის 8 დეკემბერი) და არაუგვიანეს მე-5 (2008 წლის 9 დეკემბერი) დღისა, საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 11. როგორც ძირითადი ისე ხელახალი კონკურსის შედეგად არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ასევე გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებაში უნდა მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 37-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

მუხლი 12. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 13. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია